

COVID-19-ით გამოწვეული სტრესის ზემოქმედება ომის შედეგად
იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ფსიქიკურ
ჯანმრთელობაზე საქართველოში

ნათელა ცირამუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნათელა ცირაშუა

29.01.2021

აბსტრაქტი

COVID-19 ვირუსული ინფექციით გამოწვეულმა მსოფლიო პანდემიამ განაპირობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მათ შორის: შფოთვა, დეპრესია, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა და სხვა სახის ტრავმასთან და სტრესთან დაკავშირებული აშლილობები.

სტრესზე უფრო ძლიერი რეაქცია შესაძლოა ჰქონდეთ გარკვეული მახასიათებლების მქონე ინდივიდებს, მათ შორის ახალგაზრდებს. პანდემიით გამოწვეულმა სოციალურმა და ფიზიკურმა იზოლაციამ შესაძლოა ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს ახალგაზრდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

კვლევებით დადგენილია, რომ დევნილი ახალგაზრდები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების მიმართ, რადგან ისინი და მათი ოჯახები დაექვემდებარნენ ისეთი სტრესორების ზემოქმედებას, როგორიცაა ომი და ძალადობა, საცხოვრებლის დაკარგვა, არასაკმარისი კვება, ახლობლებთან განშორება.

მასობრივი პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანია მოწყვლადობის რისკის მქონე ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება. განხორციელებული ინტერვენცია საჭიროა დაფუძნებული იყოს შესაბამისი კვლევებით მიღებულ მონაცემებზე.

კვლევის მიზანი იყო COVID 19-ით გამოწვეული სტრესის გავლენის კვლევა იძულებით გადაადგილებული მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე საქართველოში.

კვლევაში გამოყენებული არის შერეული კვლევის მეთოდი. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეულ პოპულაციაში აღინიშნება შფოთის (50%), დეპრესიის (34%) და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის(38%) მაღალი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს საომარი მოქმედებების შედეგად დევნილი ახალგაზრდების დეპრესიისა (58,8) და პტსა-ს(63,2) მაჩვენებელმა გადააჭარბა 1990 წელს დევნილი ახალგაზრდების დეპრესიისა (42,2) და პტსა-ს (36,8) მაჩვენებლებს. კვლევაში მიღებული მონაცემების თანახმად, რაც უფრო მაღალია სტრესი ასოცირებული COVID-19- თან, მით უფრო მაღალია შფოთვა,

დეპრესია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები. მიღებულმა მონაცემებმა ინტერპერსონალურ ურთიერთობებში გამოავლინეს გაუცხოების ტენდენციები და შიშის შეგრძნება, რაც პანდემიით არის გამოწვეული. 2008 წელს დევნილ ახალგაზრდებს უჩნდებათ გარკვეული ასოციაციები წარშლში ომითა და ამჟამად პანდემიით გამოწვეულ ორ სტრესულ გამოცდილებას შორის, კერძოდ: გაოცება, შიში, ჩაკეტილობა, საკუთარი და სხვისი სიცოცხლის საშიშროება. ახალგაზრდების მიერ მოსაზრებების გაზიარებისას გამოვლინდა, რომ სტრესის დაძლევის სტრატეგიები მსგავსია ორივე ტრავმული გამოცდილების დროს: ჩაკეტვა, სოციალური მხარდაჭერა, განვითარებაზე ორიენტირება. კვლევამ აჩვენა, რომ დევნილ ახალგაზრდებს შორის არსებობს ტენდენცია გადააფასონ ღირებულებები და გამოიყენონ მომავალში მიღებული გამოცდილება. ეს მიუთითებს ტრავმული გამოცდილების შემდგომი პიროვნული ზრდის ტენდენციაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი, შფოთვა, დეპრესია, გამკლავება, COVID-19, პანდემია, პანდემიასთან დაკავშირებული სტრესორები, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, იძლებით გადაადგილებული ახალგაზრდა.

Abstract

The global pandemic of COVID-19 viral infection has caused mental health problems, including anxiety, depression, post-traumatic stress disorder, and other traumatic and stress-related disorders. Individuals with certain characteristics, including young people, may have a stronger reaction to stress. Pandemic-induced social and physical isolation may have a negative impact on youth mental health. Studies have shown that IDP youth are at particular risk for developing mental health problems as they and their families are exposed to stressors such as war and violence, housing loss, malnutrition, and separation from loved ones. In the event of a mass pandemic, it is important to support and empower vulnerable groups. The performed intervention needs to be based on the data obtained from the relevant studies. The aim of the study was to investigate the impact of COVID 19-induced stress on the mental health of IDPs in Georgia. The mixed research method was used in the study. The

data obtained show that the selected population has high rates of anxiety (50%), depression (34%) and PTSD (38%). Among them, the 2008 IDP youth depression (58.8) and PTSD (63.2) exceeded the 1990 IDP youth depression (42.2) and PTSD (36.8) rates. The higher the stress associated with COVID-19, the higher the incidence of anxiety, depression, and post-traumatic stress disorder symptoms. The obtained data revealed the tendencies of alienation and feeling of danger caused by the pandemic in interpersonal relations. In 2008, they experienced a war of self-associations between two stressful experiences, namely: surprise, fear, closure, danger to their own lives and the lives of others. The conversation shows that stress coping strategies are similar in both traumatic experiences: lock-in, social support, development-oriented. Research has shown that there is a tendency among IDP youth to re-evaluate values and apply the experience gained in the future. This indicates a tendency for further personal growth following the traumatic experience.

Key words: Stress, Coping, COVID-19, Pandemic, Pandemic-Related Stressors, Coping Strategies, Mental Health, Forced displaced youth.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - ნინო მახაშვილს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების კოორდინატორ ნატალია ნემსაძეს აღმოჩენილი ინფორმაციული მხარდაჭერისათვის.

მადლობას ვუხდით კოლეგებს გაზიარებული გამოცდილებისა და მოსაზრებებისათვის.

უღრმესი მადლობა კვლევის რესპონდენტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ონლაინ კითხვარის შევსებაში. ასევე, განსაკუთრებული მადლობა სიღრმისეული ინტერვიუს რესპოდენტებს გაზიარებული გულწრფელი მოსაზრებებისათვის.